ხაშურის მოამბე

№29 (110) 31 ივლისი, ორშაბათი, 2017 წელი

სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. რწმუნებული ხაშურის სპორტული კომპლექსის, №7 საბავშვო ბაღისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

ხაშურის სპორტული კომპლექსი მრავალფუნქციურია და პროექტის ღირებულება ორ მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, რაც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსდა. სამშენებლო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა №7 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც ჯამში 753 752 ლარს შეადგენს. პროექტის დასრულების შემდეგ ბაღს 250 ბავშვის მიღება შეეძლება. დაბა სურამში, მდინარე სურამულაზე ნაპირსამაგრი კედლის სამშენებლო სამუშაოები კი მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება, რომლის ღირებულება 223 399 ლარია. კახა სამხარაძის თქმით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და დათქმულ ვადებში დასრულდება.

დაათვალიერეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა. გამგებელი სოფელ ცხრამუხაში ბიბლიოთეკის მშენებლობის და ატრაქციონების დამონტაჟების მიმდინარეობას გაეცნო, მან დაათვალიერა სოფელ ალში მიმდინარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და გზის მოასფალტების სამუშაოები. ბეტონის გზისა და სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები გამგებელმა სოფელ წაღვლშიც მოინახულა. გიორგი გურასპაშვილი ხაშურში, მინის ტარის დასახლებაში, საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოებსაც გაეცნო.

სოფელ ცხრამუხაში ბიბლიოთეკის მშენებლობის სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით ფინანსდება. პროექტისთვის 23 765 ლარია გათვალისწინებული. სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება და სოფელ ცხრამუხის მოსახლეობას ახალი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება. ცხრამუხელი პატარებისთვის აქვე, სკვერში მიმდინარეობს ატრაქციონების სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც აგვისტოს ბოლომდე დასრულდება.

სოფელ ალში, საბავშვო ბაღის სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 212 976 ლარს შეადგენს. პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისშია დაგეგმილი.

რეგიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება სოფელ ალში გზის მოასფალტების სამუშაოებიც. 399 000 ლარის ღირებულების პროექტის დასრულება სექტემბრის დასაწყისშია დაგეგმილი, რაც სოფელ ალის მოსახლეობას უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს.

ბეტონის გზისა და სანიაღვრეების მოწყობა მიმდინარეობს სოფელ წაღვლშიც. პროექტი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მიღებული თანადაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც 295032 ლარია, მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს. პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფელი წაღვლისთვის, რადგანაც გარდა მაღალმთიანი სოფლის სტატუსისა, წაღვლი ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფელიც არის.

რეგიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს ასევე ხაშურში, მინის ტარის დასახლებაში 8 საბავშვო ბაღისთვის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 538 965 ლარია და მისი დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსაა დაგეგმილი.

ღია წერილი გიორგის ან ბექას ან ლაშას ან სულ სხვას...

მე არც სახელი ვიცი შენი და მითუმეტეს - არც გვარი. ან, შესაძლოა, ვიცი და ეგებ, ვიცნობთ კიდეც ერთმანეთს. თუმცა, არსებითად, ამას არც აქვს მნიშვნელობა. მოდი, პირობითად გიორგის გიწოდებ. შენი ნამოქმედარიდან გამომდინარე, ვგრძნობ, შენი ასაკი 15-16-17 წლებთან უნდა იყოს ახლოს, ამიტომ გიოც რომ დაგიძახო, არც ამით დაშავდება რამე. ჰოდა, ჩემო გიო, პირდაპირ უნდა გითხრა – მაგარი კაცი მგონიხარ! ვიცი, ახლა შენს სხეულში და სულში მთელი რევოლუციები ხდება. რევოლუცია, ჩემო პატარა მეგობარო, ზოგადად, ნგრევასთან და რბევასთან ასოცირდება, მაგრამ ეგ „შენი" რევოლუცია სულ სხვაა- აი, ისეთი რომ აგიყვანს, მთელ ზეცას მოგატარებს, სულ სხვანაირს დაგანახებს სამყაროს და ბოლოს მზეს ჩაგახუტებს. ეგ რევოლუცია, შუა ღამეს რომ წამოგახტუნებს, ვარსკვლავებს დაგათვლევინებს და სადღაც მესამასე თუ მეხუთასე ვარსკვლავის დათვლის შემდეგ, იმ ცნობილი კინოგმირივით გათქმევინებს: „რა კარგია ცხოვრება, ამის დედა ვატირე"-ო.. ახლა შენია მთელი დედამიწა, გიო- მოუარე, უპატრონე და გაიხარე. იმასაც გეტყვი, წუხელ რომ ვარსკვლავებს ითვლიდი, იქიდან, იმ მილიონობით ვარსკვლავიდან, მხოლოდ ერთია შენი – შენ რომ ყველაზე ლამაზი გგონია და კი არ გგონია, ასეცაა

– სხვა მისნაირი არც შეიძლება იყოს და არც არის! ახლა შენს გარშემო ქერუბიმებისა და სერაფიმების „ჯარია", ყველაფერი გააკეთე, რომ მათ მთელი ცხოვრება შენთან ერთად გაატარონ, მოეფერე და იმათ გალობას შენც გალობით უპასუხე და თუ იმათ არ მიატოვებინებ თავს, თუ სიყვარული მუდამ იქნება შენში, შენზე ბედნიერი კაცი არ იქნება. შენ შეიძლება ვერ გრძნობ და ამასაც მე გეტყვი: უფლის წყალობაა ამ წუთებში შენზე გადმოსული, უფალი გვაძლევს სწორედ იმ საოცარ განცდას, რასაც სიყვარული ჰქვია და რომელზეც დგას სამყაროს „ანი" და „ჰოე".

მაგარი კაცი ხარ-მეთქი, თავში გითხარი. ამ შენს „ბილბორდს" კონკრეტული სახელი რომ არ დააწერე და იმ შენი ათინათის ღირსებას გაუფრთხილდი, ეგეც მაგ „მაგრობაში" გადის.

არ ვიცი, ამ „ბილბორდის" ადრესატი, მიხვდა თუ არა, რომ მისთვის იყო ეს გზავნილი. თუ იმას, პულსის რაოდენობა იმის ნახევარი მაინც აქვს, რაც შენ, აუცილებლად მიხვდებოდა, თუ არა და შენი კარგი კაცობით, შენი კარგი სწავლით, შენი კარგი ქართველობით, შენი კარგი პატრიოტობით დაუმტკიცე რომ ხარ ამ სიყვარულის ღირსი. ვიცი, ასეც იზამ, ვიცი და მიხარია.

წინ მთელი ცხოვრება გაქვს, გიო. ამ გზაზე ათასი ბარიერის დაძლევა მოგიწევს. მთავარია, ეგ სიყვარული იყოს მუდამ შენთან და ყველა ბარიერს ისე დაფშვნი, როგორც წნეხის ქვეშ მოყოლილ ალიზს.

სულ სხვა თემაა, მაგრამ ამ ჩვენმა ბებერმა ციხემაც როგორ მოიხდინა ეგ შენი „ნამოღვაწარი". რა გასაკვირია? ეგ ციხეც ხომ შენს დიდ წინაპრებს სამშობლოს სიყვარულმა ააშენებინა. ჰოდა, სიყვარული სიყვარულთან რომ „მივიდა", ლამაზი გამოჩნდა ძალიან. გადაგღალე, გიო, მგონი. აღარ შეგაწყენ თავს. ერთს გთხოვ მხოლოდ: ძალიან, ძალიან მინდა შენს სიყვარულს ბედნიერი დასასრული ჰქონდეს, ღმერთს მეოხად ვუდგები რომ ასეც იყოს! და როცა ეს მოხდება, ქორწილში დაპატიჟებაზე როგორ გავკადნიერდები, მითუმეტეს, შეიძლება არც ვიცნობთ ერთმანეთს, უბრალოდ, რაღაცნაირად გამაგებინე. ასაკი უკვე ხელს მიშლის, მაგრამ ისე როგორ წავხდები, რომ თქვენი სიყვარულის სადღეგრძელო ერთი საშუალო ზომის განსხვავებულით ვერ დავლიო?!

გკოცნი და გეფერები!

გოგი გოგოლაძე

პატრიოტებო საქართველოსი, შეერთდით!

დიახ, ამ სტატიის სათაური მოწოდებაა, თანაც ძალიან გავს ლოზუნგს, რომელმაც მე-20 საუკუნეში მსოფლიოს სოციალურად დაჩაგრული მილიონობით ადამიანის გონება აღანთო და გულს იმედი ჩაუსახა, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური პროფილი.

დღეს ეს მოწოდება არა ძალადობისაკენ, არა რევოლუციისაკენ არის მიმართული, არამედ იმ ძალთა გაერთიანებისაკენ, რომლებსაც სამშობლო უყვართ და მზად არიან, დაიცვან ის იდეალები, რამაც დღემდე მოგვიყვანა, რაც საფუძვლად დაედო დიდ ქართულ კულტურას და ქართველს ქართველობა არ დააკარგვინა ისტორიულ ქარტეხილებში, მრავალსახოვან და მრავალფეროვან საკაცობრიო ოჯახში თავისი ღირსეული ადგილი შეუნარჩუნა დღემდე.

ეს მოწოდება უაღრესად აქტუალურია დღეს იმიტომ, რომ ანტიეროვნული, ანტიჰუმანური, უზნეო ძალები გაერთიანებულნი არიან პარტიებსა და ბლოკებში, ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებში და სწორედ ამ ერთიანობაშია მათი ძალა და სასიცოცხლო ენერგია. აბა, ვის უნახავს ან გაუგონია ერთი ადამიანის ხულიგნობა? ერთი კინკილა, ჭკუანარღძობის ხულიგნობას დიასახლისი დედაკაცებიც კი ადვილად აღკვეთენ და სამუდამოდ დაუკარგავენ ანტისაზოგადოებრივი გამოხდომის სურვილს იმ უბედურს.

კაცობრიობის საუბედუროდ, სატანისტური ძალები დასაბამიდან დღემდე ყველაზე დემაგოგიური, ნარკოტიკივით გამაბრუებელი ლოზუნგით მოდიან. ეს არის პიროვნების სრული თავისუფლებისაკენ მოწოდება, რაც ყველა რევოლუციის დროშაზე ეწერა ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში.

დიდმა მოაზროვნემ, ჩვენი მედასავლეთეებისაგან განსხვავებით, ნამდვილმა ევროპელმა და ევროპული აზროვნების უბადლო მცოდნემ ჟან პოლ სარტმა ადამიანს „თავისუფლებით დაწყევლილი “ უწოდა ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კი სრულ თავისუფლებას მოიპოვებს ადამიანი, იგი უკვე აღარ არის სოციალური ფენომენი და მას, როგორც ბიოლოგიურ არსებას, მომავალი არ აქვს.

აქეთ ეჭაჩებიან ანტიადამიანური ძალები კაცობრიობას. კარამაზოვების უმცროსი ძმისა არ იყოს, „ღმერთი არ არის?! მაშასადამე, ყველაფერი დასაშვებია!“ ღმერთი აქ ზნეობის სიმბოლოა. ჰო და, თუ ყველაფერი დასაშვებია, მაშინ გავაკეთოთ ის რაც ყველაზე სასიამოვნოა.

აი, ამ იდეოლოგიით აბრუებენ ხალხს კაცობრიობის მტრები ჩვენში და სხვაგანაც! ამიტომაა ასეთი აღტკინებით რომ მოითხოვენ ნარკოტიკების მოხმარებისა და სქესობრივი აღვირახსნილობის ლეგალიზაციას ანუ დაკანონებას. სულ მალე კანიბალიზმის თავისუფლების მოთხოვნითაც გამოვლენ. რა, ამის შემთხვევები ცოტაა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში? ამ მოთხოვნას მხარდამჭერები და დამცველები არ გამოუჩნდებათ განა, არასამთავროებებისა თუ ე. წ. სახალხო დამცველების (ომბუდსმენების) სახით, რომელთა ნაკლებობას არც ჩვენში და არც სხვაგან არავინ უჩივის.

საზოგადოების ერთი ნაწილის სრული გამოთაყვანება აშკარაა! ეს გამოთაყვანება პროგრესირებადია, განსაკუთრებით საზოგადოების უმწიფარ ნაწილში, რომლებიც ბრმად მისდევენ ლიბერასტების მოწოდებებს. ამიტომ, დროა, ვიკივლოთ: სამშობლო საფრთხეშია!

ერთი კაცის ანუ ცალ-ცალკე კივილს გაბრუებული და ჯერ კიდევ გაბრუებული საზოგადოება ვერ გაიგონებს, შეძახილია საჭირო. ერთხმად შეძახება რომ შევძლოთ, საამისოდ პატრიოტული ძალების გაერთიანებაა საჭირო !!!

გულგატეხილია ხალხი, ხვალინდელი დღისა და ეროვნული შეგნების გამოღვიძებისა აღარა სჯერა. ხშირად გამიგონია გულისტკივილით ამონაკვნესი: აღარაფერი გვეშველება, საქართველო გაყიდულია, ხვალ-ზეგ ჩვენი აღარ იქნება ჩვენსავე სამშობლოში, მკბენარებივით მომრავლებული ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების – ასო-ების გამოისობით.

ასეთი განწყობილება გასაკვირი როდია. ჩვენს ტელეეკრანებზე დღენიადაგ ყელყელაობენ უცხოელი ძიების ძღვენნაჭამი პარტიების ლიდერები და მათი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების ასო-ების ახვრები, საეჭვო ზნეობისა და ინტელექტის მქონე „ექსპერტები“ და „პოლიტოლოგები“. დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის გამოცნობას, თუ რომელი ქვეყნის ძღვენის ჭამით აქვთ გასიებული კისრები და გაბიუვინებული ლოყები. თანაც, რა დიდ გულზე არიან!

იქნებიან, რატომაც არა?! კოჭაბიტაციის ხუთწლიანმა სათბურმა სამარისთვის გამზადებული ნაცები და მათი ღვიძლი ძმები ფერზე მოიყვანა და ... „არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამამყრელი ჯავრისა,“- როგორც ვაჟას პოემის ერთი გულდათუთქული პერსონაჟი ჩივის.

ჰო და, ისეთი შთაბეჭდილება ექმნება ხალხს, უბედურ ტელემაყურებელს, რომ ამ ქვეყნის დაქცევა-გადაშენების მოსურნენი ბევრნი არიან. არა და, ერთი და იგივე პერსონები არიან ტელევიზიების ავანსცენაზე, თანაც კარგა მაგრად დაქოქილები და უცხოეთში ტრენინგგავლილები. ამიტომ არის, რომ ე. წ. ტელედებატებში ხელისუფლების პოზიციის დამცველებს დიდი ანგარიშით უგებენ ხოლმე ეს ნაძირალა ოპოზიციონერები. აბა, რა იქნება! ხელისუფლება მამალი ნაცების წინააღმდეგ დებატებში ჩვენს მძინარა და უდილეტანტეს პარლამენტის დეპუტატებს აგზავნის და არა იმათ, რომლებსაც ძალა შესწევთ თავზე გადაახიონ უნამუსო ოპოზიციას მათივე შეთითხნილი არგუმენტები.

ამას წინათ, „რუსთავი-2'' ის ეთერში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ყველასთვის კარგად ცნობილი ტელეწამყვანი, „ნაცმოძრაობის'' აქტიური ადვოკატი. ეკა კვესიტაძე, რომელსაც მოქალაქეობრივ პოზიციას ვერ მოვუწონებ, თორემ არც განათლება აკლია და არც მახვილი აზროვნება და ჩვენი პარლამენტის დეპუტატი. ეს ჩვენი დეპუტატი, ასე ვთქვათ, რეჟისორი ისეთ დღეში ჩააგდო რუსთავიორელმა ეკა კვესიტაძემ, რომ 2012-ში მისთვის გამოცხადებული მხარდაჭერისათვის სირცხვილით კინაღამ დავიწვი. მაინც, რა კითხა იმ ქალბატონმა ამ ჩვენს ვაჟბატონს: რა და, კონსტიტუციის პროექტში რომ ჩაწერეთ, ეროვნული ღირებულებანი სახელმწიფომ უნდა დაიცვასო, ერთი მაინც დამისახელეთ, რომლის დაცვასაც სახელმწიფო იკისრებსო. ჩვენმა დეპუტატმა ეკა კვესიტაძის კითხვის პასუხად ისეთი რამეები იბუტბუტა, რომ ის ქალბატონი სიცილით ჩაბჟირდა. მიხვდა ნამდვილად, რომ ჩვენს ვაჟბატონს ეროვნულ ღირებულებებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

რა, მართლა გაწყდა მამრი საქართველოში? პოლიტოლოგობის ექსპერტობის ეტალონი მართლა სოსო ცისკარიშვილია? განათლებისა – ალექსანდრე ზდაპართმმუსვრელი (იგივე ჯეჯელავა)? ეკონომიკურისა – კაკოია გოგიჩაიშვილი? სამხედრო საქმისა- ვინმე სესიაშვილი? კულტურისა და ლიტერატურისა – ლაშა ბაქრაძე და ლაშა ბუღაძე? მართლა ისე გაგვიჭირდა, რომ ქვეყანაში კატებს ვაყეფებთ?

არა და არა!

ისევ იმ ჩვენი „კეთილისმყოფელი'' უცხოელების ძღვენით ავსებული ქართული ტელევიზორები სათოფეზე არ ეკარებიან ჭკუაგონებით გაპენტილ ბრწყინვალე ექსპერტ-სპეციალისტებს, რომლებიც მრავლად არიან საზოგადოებრივი აზროვნების ნებისმიერ დარგში – პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურასა და ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, განათლებასა და სამხედრო საქმეში.

დაუნახავს ვინმეს ქართულ ტელესივრცეში ალექსანდრე ჭაჭია, იაკობ ლეჟავა ან ლუკა ნემსაძე? სირცხვილი არ არის ლიტერატურული პროცესების შეფასებას ლაშა ბუღაძეს სთხოვდე, ისტორიული პროცესებისას – ლაშა ბაქრაძეს და ამ დროს სულით ხორცამდე ჯანმრთელები იყვნენ თამაზ წივწივაძე და როინ მეტრეველი?

სირცხვილია!

გამიზნულად და უნამუსოდ ატყუებენ ხალხს, განსაკუთრებით სოციალურად უმწიფარ ახალგაზრდებს, თითქოს ქართველი ხალხის აზრსა და განწყობას თათია დოლიძისნაირი „მაგრად წარმატებული'' ე.წ პოლიტიკოსები გამოხატავენ. ქართველი ერის აზრსა და განწყობას უცხოური ძღვენიჭამია მანქურთები კი არა, იმ ქართველ პუბლიცისტთა ბრწყინვალე პლეადა გამოხატავს, რომლებიც მრავლად არიან მოუსყიდავ ჟურნალ-გაზეთებში. ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ჩვენი შესანიშნავი პუბლიცისტების დავით მხეიძის, გია გაბრიჭიძის, ბაკურ სვანიძის, ალეკო ასლანიშვილის, იზა თამაზაშვილის, გურამ წიკლაურის, ლაშა ნადარეიშვილის, ნანა დევდარიანის, გრიშა ონიანისა და სხვათა ღრმად პატრიოტული პუბლიცისტიკა თავიანთი გაზეთების მკითხველთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი, ხოლო უცხოური გრანტების (ძღვენის!) ჭამით გამაძღარი იდიოტები მილიონებს ელაპარაკებიან ტელევიზიის ეკრანებიდან. რას გახდება მათთან საინფორმაციო ჭიდილში, თუნდაც ისეთი პოპულარული გაზეთი, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა''? არა და, საცოდაობა არ არის, რომ თამაზ წივწივაძის პოლიტიკურ სატირას მთელი საქართველო არ კითხულობდეს ან არ ისმენდეს?

ის კი არა, ეჭვი მაქვს, რომ თვით ჩვენი ბრწყინვალე პუბლიცისტების დიდი ნაწილი ერთმანეთის ნაღვაწსაც არ იცნობს. ცალ-ცალკე არიან და იმიტომ! მათ საერთო სტრატეგია და ტაქტიკა არ აერთიანებთ. ამიტომაა, რომ მათი ძალიან ხმამაღალი და რიხიანი შეძახილი არავის ესმის. იმის მიუხედავად, რომ - „ძალა ერთობაშია!'' – ქართული ანდაზაა, მასში გადმოცემული სიბრძნე ქართველებმა ვერ გავითავისეთ. წესიერმა ქართველებმა, თორემ უწესოები და ბოროტმოქმედები აუცილებლად ერთიანდებიან და ათკაციანი ბანდები შიშის ზარს სცემენ ასიათასებს. სულ ტყუილად გვგონია, რომ სიკეთე და ჭეშმარიტება თვითონ არის თავისი თავის დამცველი და სხვათა მხარდამჭერის გარეშეც გაიმარჯვებს. „Один на поле не войн!'' ზუსტად აქვთ ნათქვამი რუსებს, ამიტომ მოიგეს მათ ყველა ომი. იქნებ ჩვენც ვირწმუნოთ ეს! არა და, ამ სიბრძნის დადასტურება იყო რამდენიმე დღის წინ გამოვლენილი ერთიანობის ბრწყინვალე მაგალითი- „ქართული მარში''.

„არა ყოფილან კიდევა, გადარჩომიან რბევასა!''

ერთიანობა და ერთხმად შეძახილი გაიგონა ხელისუფლებამ, მტერმაც და მოყვარემაც, შესაბამისი რეაქციებიც გამოავლინეს: მოყვრებმა მხარდაჭერა, მტრებმა და მტრის შნირებმა - პანიკური რეაქცია.

ძალიან მეშინია იმისი, რომ თოთხმეტი ივლისის პატრიოტული განწყობა არ გაანელოს და მიანავლოს ძღვენიჭამია ტელევიზიების პერმანენტულმა შემოტევებმა, რომლებსაც 14 ივლისის აქცია „მუავე ნაციონალიზმად'' მონათლეს.

ამიტომ, აუცილებელია, 14 ივლისს გამოვლენილი ქართველთა ერთიანობა ორგანიზაციულად გაფორმდეს. სანდრო ბრეგაძესა და მის თანამოაზრეებს, ისეთებს, როგორიც სადღობელაშვილია, ვფიქრობ, გააზრებული აქვთ ის საფრთხე, რაც მომენტალურ აღტკინებას მოსდევს ხოლმე ჩვენში. მოსდევს კი ის, რომ კარგად ორგანიზებული ერის მოღალატეთა ბანდები, რომლებიც უცხოური ძღვენიჭამიებით არის გაძეძგილი, ყოველთვის კარგად იყენებდნენ ქართველთა ამ სისუსტეს და გვიტევდნენ იქ და მაშინ, სადაც და როცა გვიჭირდა.

ასე იყო ახლაც. აქციის მეორე დღეს, „რუსთავი 2''-მა სცადა 14 ივლისის „ქართული მარშის'' დისკრედიტაცია, მაგრამ კოვზი ნაგავში (უკაცრავად, ნაცარში!) ჩაუვარდა: „რუსთავი 2''-ის ეთერში მიწვეულმა ერთმა კაცმა, მთელ ბალანაშლილ გუნდს ენა ჩააგდებინა მუცელში. ეს კაცი ირაკლი კაკაბაძე იყო! ვერ გათვალა ხეირიანად გვარამია-გაბუნიას კანტორამ, რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ირაკლი კაკაბაძეს მათთვის, რომელსაც არც დასავლური ორიენტაცია დაეწუნებოდა, არც დასავლური და აღმოსავლური განათლება, არც აშშ-ში ცხოვრების გამოცდილება და თანაც, თავგადაკლული ნეოლიბერალი ნინია კაკაბაძის ალალი ძმაა. ჰო და, ქართველთა საზოგადოებაში ეს პოპულარული კაცი „ქართული მარშის'' ლიდერებს ჰომოფობიაში, შეუწყნარებლობასა და უკულტურობაში დასდებდა ბრალს. არა და, გვარამია-გაბუნიელებმა ის ვერ გაითვალისწინეს, რომ ირაკლი კაკაბაძე დამპალი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ბარიკადებიდან არის მოსული და ყველა სიკეთესთან ერთად, ზურაბ კაკაბაძის შვილია. ჰო და, რუსთავიორელებს გულდასმით მოფიქრებული ანტიქართული სცენარი თავზე გადაახია.

დარწმუნებული ვარ, ირაკლი კაკაბაძის იმდღევანდელი გამოსვლა „რუსთავი-2'' –ის ეთერში საეტაპო გახდება.

„ქართულმა მარშმა'' ელეთ-მელეთი დამართა ჩვენს ლიბერასტებს, რომლებიც, ვიმეორებ, მტკიცე ფიცით არიან გაერთიანებულნი ძღვენიჭამია ორგანიზაციებში-პარტიებსა და ასო-ებში. ეს კარგად გამოჩნდა მათ გაწიწმატებულ-განწირულ ღნავილში და სასაცილოდ უმწეო არგუმენტებში: არალეგალური მიგრანტებისა და ნაცების მიერ დატოვებული მოღალატური საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა რუსეთის მიერ ინსპირირებული აქცია იყოო. ვაი, თქვენს პატრონს-თქო, შევძახე ტელეეკრანს, მაგრამ რას გავაგონებდი ტელეეკრანზე გამოჭენებულ ამ ცალტვინა ლიბერასტებს. აშშ-ში და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რომ იმართება ასეთი მარშები (ჩვენსავით მშვიდობიანი კი არა, ჰამბურგში რომ გაიმართა ისეთი!), თვით აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპი, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, უნგრეთის პრეზიდენტი ორბანი და ბევრი სხვაც, რომ რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ არალეგალური თუ ლეგალური მიგრანტების მოძალებაზე, ესეც რუსეთის მიერ არის დაგეგმილ-განხორციელებული?

რა ყოფილა ეს რუსეთი, ვეჟო!

„ქართული მარშის'' მიერ დაწყებული მოძრაობა უნდა გაგრძელდეს. სანდრო ბრეგაძე და „მარშის'' სხვა ორგანიზატორები მამაცი და გულანთებული პატრიოტები არიან და სწორედ მისნაირების მხარდაჭერისათვის „პატრიოტებო საქართველოსი, შეერთდით!''

ზურაბ ცუცქირიძე, თქვენი რიგითი ჯარისკაცი

- სოფლის მეურნეობა -

ხაშურში სამეცნიერო საცდელ-სადემონ-სტრაციო ბაზა თავის სიტყვას ამბობს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საკონსულტაციო-საინფორ-მაციო სამსახურის ხელშეწყობით, „ხაშურის მოამბე" სოფლის მერნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ბაზას ეწვია, რომელიც ხაშურში აქტიურად ფუნქციონირებს. ცენტრი აბრა-რულ სექტორში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის აღდგენის მიზნით შეიქმნა და მის მიზანს წარმოადგენს: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება, საქართველოში ახ-ალი ჯიშების გამოცდა-შეფასება, ადაპტაცია, საქართველოს მიწის ფონ-დის შესწავლა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და ა.შ. აქვე აღვნიშნავ, რომ ხაშურის საცდელი ბაზის ამუშავებაში, საინფორმა-ციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ჯემალ გელაშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომელიც თანამდებობის დაკავების პირველივე დღეებიდან ძალ-ღონეს არ იშურებდა ამ საკითხის მოგვარებისთვის. დავამატებთ, რომ

სწორედ მისივე მცდელობით, ხაშურში გამოიყო ყველაზე დიდი ფართო-ბი ბაზისათვის - სულ 12 ჰექტარი. ადგილზე მისულებს კომბაინით ქერის აღების სამუშაოებს შევესწარით, უფრო კონკრეტულად კვლევითი ცენ-ტრის ფუნქციონირებაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი სამეცნიერო ცენტრის მთავარ აგრონომს **ადოლ ტყეშელაშვილს** ვე-საუბრეთ:

– მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანა ვართ, სოფლის მეურნეობის კუთხ-ით აუცილებლობას წარმოადგენდა ამუშავებულიყო სამეცნიერო კვლევითი ისტიტუტები, რომლებიც წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა, მოხდა მათი რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც, 2014 წელს, შეიქმნა სოფლის მეურ-ნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. სამეცნიერო ცენტრებმა გააერთიანა მანამადე არსებული მთელი რიგი ინსტიტუტები, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მრავალპროფილიანი სამეცნიერო კვლევები მემცენარეობის, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების, ნიადაგის ნაყოფიერების, ბიო-აგროწარმოების, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის, რისკის შეფასების, ეკონომიკური ანალ-იზისა და სხვა მიმართულებით. საქართველოში 16 ზონაა, სადაც სრულიად

განსხვავებული კლიმატურ–ნიადაგური პირობები გვხვდება. ამიტომ საჭირო გახდა ესა თუ ის საცდელი ჯიში ამ, ასე ვთქვათ, „ჭრელ" ნიადაგურ-კლი-მატურ ზონებს შესაბამისად მოერგოს, გატარდეს სწორი აგრო-ტექნიკური სამუშაოები, სწორედ დაგეგმარდეს ნიადაგის დამუშავების სისტემა და ა.შ. მაგალითისთვის, ჯავახეთის რეგიონში აპრობირებულ ჯიშებს, შიდა ქართლში ან კახეთში გახარება უჭირთ, ცენტრიც ამ დიფერენცირებისათვის შეიქმნა.

- ბატონო ადოლ, მოგვიყევით უშუალოდ ხაშურის სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შესახებ?

– ამ ცენტრის შექმნამ განაპირობა, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ტერ-იტორიაზე შეიქმნლიყო საცდელი ბაზები, მათ შორის ხაშურის ტერიტორიაზე და ასეც მოხდა, ხაშურის რეგიონში, მრავალწლიანი ნარგავების საცდელ-სა-კოლექციო ბაზა შეიქმნა, მართალია, ჯერ სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, თუმცა, ვიმედოვნებთ, პირობები გაუმჯობესდება. ამ ბაზაზე თავმოყრილია თითქმის ყველა ჯიში მრავალწლიანი ნარგავებისა: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, რომლებიც გასული ხუთი-ათი წლის განმავლობაში უკვე კარგად გა-მოცდილი და გამართლებული ჯიშებია, დაბალმოზარდია და მაღალნაყოფიერი, დაავადებების მიმართ მდგრადი. გვაქვს ასევე ვაზის ასამდე ჯიში, რომლებზე-დაც აქტიურად ვმუშაობთ, თუ როგორ გაამართლებს ამ რეგიონის პირობებში ყველაზე უკეთ. იმ ჯიშებს, რომლებიც აქამდე თქვენში მოჰყავდათ, მაგალითად, გორული მწვანე ან დირბულა, შეიძლება ახალი და სრულიად განსხვავებული ჯიშები დაემატოს. ამის ძირითადი არსი ის არის, რომ მოსახლეობამ კარგად დაინახოს კვლევის და გამოცდის შედეგები და ჯეროვანი არჩევანი გააკეთოს სასურველ ჯიშზე. ჩვენ იმასაც უზრუნველვყოფთ, რომ პიროვნება, რომელიც დაინტერესებულია სანერგე მეურნეობით, სადედე ნერგები ჩვენგან წაიღოს და გაავრცელოს, ამ კუთხითაც ხელს შევუწყობთ.

- შევესწარით ქერის აღების პროცესს, რომელ ჯიშზეა საუბარი და საიდანაა შემოტანილი?

– ესაა ქერის ჯიში „ვაკულა", რომლის საწყისი მასალა შემოტანილი გვაქვს რუსეთიდან. მოგეხსენებათ, საქართველო ხორბლის სამშობლოდ ითვლება, ეს მსოფლიომაც აღიარა. ის გენოფონდი, რომელიც იყო ჩვენს ქვეყანაში, რუსმა სელექციონრებმა კარგად გამოიყენეს და ჩვენი ენდემური ჯიშების გენები რე-ალურად დევს მათი ჯიშების გენებში. განვითარებით, ნაყოფის დგომით კმაყო-ფილი ვარ, თუმცა, ვერ ჩავჯექით საგაზაფხულო თესვის ფარგლებში, ზოგჯერ ორ კვირასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ჯიშისთვის. წინასწარი მონაცემებით, ქერის მოსავალი 30 ტონამდე უნდა იყოს. რაც შეეხება რეალ-იზაცია,ს მოწეული მოსავლის ნაწილი, რომელიც საჭიროა გამრავლებისათვის, ჩვენთვის ვიტოვებთ, ნაწილ კი, მოჭარბებულ რაოდენობა, ფინანსთა სამინის-ტროში იგზავნება, ლოჯისტიკის კომპანია კი უზრუნველყოფს რეალიზაციას.

- ძირითადად, რა პრობლემებს წააწყდით მუშაობის პროცესში?

– სამწუხაროდ, ვერ ვიყენებთ სარწყავის სისტემას, რომ არა ეს პრობლე-მა, მთელი რიგი კულტურები უფრო კარგ მდგომარეობაში იქნებოდა, ვიდრე ახლაა. ეს პრობლემა სახელმწიფო დონეზეა მოსაგვარებელი, რომლის გად-აწყვეტაც ჩვენს ძალებს აღემატება. გეტყვით, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული ნიადაგი დაზიანებულია შხამქიმიკატებით, რომლისთვისაც, დაახლოებით, სამი წელი გვჭირდება, რათა მწყობრში მოვიყვანოთ და, ასე ვთქვათ, გავაკულტუროთ.

- თქვენი აზრით, განვითარების რა ეტაპზეა ამჟამად სოფლის მეურნეობა საქართველოში?

– მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ნელ–ნელა ფეხს იდგამს და

ვითარდება, მაინც საჭიროა ამ საკითხისადმი მეცნიერული თვალით შეხედ-ვა. უმეტესწილად, იგრძნობა მეცნიერების ამ დარგისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, თუმცა, ისმება კითხვა: თუ არა მეცნიერება, ვინ მოიტანა ყოველივე ეს ცოდნა დღემდე?! – ეს სწორედ ამ მეცნიერებამ მოიტანა. ისე როგორც ყველა დარგს, სოფლის მეურნეობასაც ჭირდება განვითარება, ახ-ალი სისხლი, ახალი ჯიშების გამოყვანა, რაშიც ლომის წილი მეცნიერებს და მეცნიერებას ეკუთვნის. ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფოებრიობაზე აქვს პრეტენზია, ყველა სფერო გამართულად და წარმატებით უნდა მუშაობდეს, მათ შორის, სოფლის მეურნეობაც, მითუმეტეს, რომ საქართველო უძველესი დროიდან მიწათმოქმედების ქვეყანად ითვლება. აღსანიშნავია ცენტრის სამი ძირითადი საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზა: ჯიღაურის, წილკანის და ვაჩიან-ის საცდელი ბაზები. ჯიღაურის ბაზა, თავის მხრივ, უნიკალურია, სამხრეთის ქვეყნებმა აღიარეს კიდეც, რომ ასეთ უმაღლეს დონეზე მოწყობილი საცდელი მეურნეობა ძალიან იშვიათობაა.

ფაქტია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა, ვიმედოვნებთ, ეს საცდელი ბაზა, რომელიც ჩვენს მუნიციპილატიტშია, სულ მცირე წვლილს მაინც შეიტანს ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

თ. ახალკაცი

ზოგი რამ რაიონში გავრცელებული გვარსახელების შესახებ

ქართული გვაროვნული სახელების შეგროვებასა და შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა განპირობებულია არა მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობით, არამედ, თუ გნებავთ, ჩვენი ისტორიის და კულტურის, მისი ენის შესწავლის თვალსაზრისითაც.

თითოეულ გვაროვნულ სახელში, მის ძირებში, ბევრი საინტერესო მომენტია, რომლის გათვალისწინების გარეშეც, შეუძლებელია ქართული სამყაროს უკეთ გააზრება და გაგება.

გვაროვნული სახელი (პანტომიმები) იგივე საკუთარი სახელია, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების სახელთან ერთად გვხვდება, იგი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩნდა მაშინ, როდესაც პიროვნების მხოლოდ სახელით მოხსენიება საკმარისი აღარ იყო და პრაქტიკული აუცილებლობა განაპირობებდა მეორე, დამატებითი სახელის შემქნას.

ქართულ სალიტერატურო და ისტორიულ წყაროებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სიგელ-გუჯრებში, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მოხსენიებული, XII საუკუნემდე იშვიათად გვხვდება გვაროვნული სახელები, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე გვაროვნული სახლები საქართველოში გავრცელებული არ ყოფილა.

პროფესორ ა. ღლონტის აზრით, „გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმიისა, ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს.

უკვე XIII-XIV საუკუნეებიდან საქართველოში მტკიცედ იკიდებს ფეხს გვაროვნული სახელები (სხვა მოსაზრებით XIV-XV საუკუნეებიდან) და თანამედროვე გვარების უმეტესი ნაწილიც სწორედ ამ პერიოდიდან მოდის.

თანამედროვე საქართველოში გავრცელებული გვაროვნული სახელები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. იგი დაახლოებით 17000-მდე ერთეულს ითვლის. ქართულთან ერთად, ფართოდ გვხვდება აგრეთვე არაქართული გვაროვნული სახელებიც.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ამჟამად გავრცელებულია, როგორც საკუთრივ ქართული, ასევე არაქართული 2 ათასამდე გვაროვნული სახელი, აქედან ქართულია 1500-ზე მეტი გვაროვნული სახელი.

***

ქართული გვაროვნული სახელები სხვადასხვანაირად არის მიღებული. მათ წარმოქმნას ძირითადად საფუძვლად უდევს საკუთარი სახელები (ეპონიმები), აგრეთვე, ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს პიროვნების ხელობასა და საქმიანობას. მიგვითითებს ტომობრივ წარმოშობასა და სადაურობაზე, იძლევა ადამიანის დახასიათებას ფიზიკური, ქონებრივი ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით.

ცხადია, ხაშურის მუნიციპალიტეტშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მრავალნაირი წარმოშობის ქართული გვაროვნული სახელი გვხვდება. თუმცა სურათი იმდენად ზოგადია, რომ რაიონში გავრცელებულ გვაროვნულ სახელებსა და საერთო გვაროვნულ სახელებს შორის, მათი წარმოებისა და წარმოშობის თვალსაზრისით, რაიმე განსხვავება არ არსებობს.

ქართულ გვარებს ძირითადად ბოლოში ერთვის ფუძეზე-ძე და შვილ ფორმანტი და მათი ეკვივალენტები: – ურ (–ულ), –ია (–ა), –უა (–ვა), –იას (–ან). თითოეულ მათგანი ძე, შვილს აღნიშნავს.

ადამიანის საკუთარ სახელთა ფუძეზე-ძე და-შვილ ფორმატის დამატებით მიღებულია რაიონში გავრცელოებული შემდეგი ქართული გვაროვნული სახელები:

არჯევან - არჯევანიძე, არსენ - არსენიძე, ჯავახ - ჯავახიშვილი, ჯავახიძე, ბერი - ბერიძე, ბეროშვილი, ბერუაშვილი, ბეროზაშვილი, ბერაძე, მშვიდობა - მშვიდობაძე, მახარა - მახარაშვილი, მახარაძე, აბრამ - აბრამაშვილი, აბრამიშვილი, აბრამიძე, ბასილ - ბასილაშვილი, ბასილაძე, ბარამ - ბარამიძე, ბეშკენ - ბეშკენაძე, გიორგი - გიორგაშვილი, გიორგაძე, ავთანდილ - ავთანდილაშვილი, მიქელა - მიქელაშვილი, ბადრი - ბადრიაშვილი, ბადრიშვილი, გოგიტა - გოგიტაშვილი, გიგა - გიგაშვილი, ალექსი - ალექსიძე, ბარათა - ბარათაშვილი, ბეჯანი - ბეჟანიშვილი, ბეჟიტაშვილი, ბეჟუაშვილი, თომა - თომაშვილი, თომაძე, იაკობი - იაკობაშვილი, იაკობიძე, ივანე - ივანეშვილი, ივანიშვილი, ივანიძე...

ფორმანტი –ძე და –შვილი ძველ ქართულში ნათესაობით ბრუნვას მართავს. დღეს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი „ს“ დაკარგულია, მაგრამ შემორჩენილია ძველ ქართულ ლიტერატურულ და საისტორიო ძეგლებში. ძველი ქართულის მიხედვით იქნებოდა: არჯევანისძე, ბასილისძე, ჯავახისშვილი, ავალისშვილი, გიგასშვილი...

ძე და შვილ ფორმატის ეკვივალენტების საკუთარ სახელებზე დამატებით მიღებულია შემდეგი გვაროვნული სახელები:

ა). ურ-ულ; ბაიდა - ბაიდაური, ბარათა - ბარათური, ბექა - ბექაური, გელხა - გელხაური, გერგა - გერგაული, გიგა - გიგაური, გოგიტა - გოგიტაური, გიგიტა - გიგიტაური...

ბ). - ია -ა; ბექა - ბექაია; ბერა - ბერაია; ლომა - ლომაია; მარკოზ - მარკოზია, ქავთარ - ქავთარია...

გ). -უა - ვა; დუნდ - დუნდუა; ლუკა - ლუკავა; პაპა - პაპავა...

დ). -იან - ან; ავალ - ავალიანი; დევდერ - დევდერიანი (დევდარიანი); ასათ - ასათიანი...

ხაშურის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვაროვნული სახელების ერთი ნაწილი ადგილის სახელწოდებისგან არის წარმოქმნილი და ადამიანის სადაურობას გამოხატავს; ეს გვარ-სახელები წარმოქმნილია –ელ და მ-ელ-აფიქსებით.

ასეა მიღებული გვარები: აჩაბეთი - მაჩაბელი, ამაშუკეთი - ამაშუკელი, ლიჩი - ლიჩელი, მარაბდა - მარაბდელი, სავანე - სავანელი, წერეთი -წერეთელი, ყანჩავეთი - ყანჩაველი.

მრავლადაა გავრცელებული ქართული თუ უცხოური წარმოშობის ეთნიკური ტერმინებისგან მიღებული გვარები:

სვანი - სვანიძე, მეგრელი - მეგრელიშვილი, კახი - კახიძე, კახიშვილი, კახელი - კახეთელიძე, კახელი, იმერელი - იმერლიშვილი, მესხი - მესხიძე, სომეხი-სომხიშვილი, თათარი - თათარაშვილი, არაბი -არაბიძე, არაბული, თურქი - თურქაძე, ბერძენი - ბერძენიშვილი, გურული - გურული, თუში - თუშიშვილი, დვალი - დვალიშვილი, ჩაჩანი -ჩაჩანიძე, ლეკი -ლეკიშვილი, ქართველი - ქართველიშვილი, ახმეტელი - ახმეტელი, ახმეტელაშვილი, ალელი - ალელიშვილი, ასპინძელი - ასპინძელაშვილი, ულუმბელი -ულუმბელაშვილი.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბევრი გვარია გავრცელებული, რომელიც ხელობა-მოსაქმეობის თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისგან არის მიღებული:

მჭედელი - მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მეყანწე - მეყანწიშვილი, მენაბდე - მენაბდე, ხარატი - ხარატიშვილი, მეზურნე - მეზურნიშვილი, ხარაზი - ხარაზიშვილი, დურგალი -დურგლიშვილი, ხუცესი - ხუციშვილი, მელიქი - მელიქიძე, მელიქიშვილი, ქურდი - ქურდაძე, მეზვრე - მეზვრიშვილი, მგალობელი - მგალობლიშვილი, ხურო - ხუროძე, მღებარი - მღებრიშვილი, მეტივე - მეტივიშვილი, დეკანოზი - დეკანოზიშვილი, დეკანოსიძე, დეკაონოიძე, ეჯიბი - ეჯიბაძე, თერძი - თერძიშვილი, მდივანი - მდივნიშვილი, მეთევზე - მეთევზიშვილი, მექერე - მექერიშვილი, მხატვარი - მხატვრიშვილი...

გვაროვნულ სახელთა ერთი ნაწილი მიღებულია ადამიანთა გარეგნობის, ასაკის, მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ასეთი გვარებია: ამბოკაძე (ამბოკარი „უსახლკაროს“, „არაფრისმქონეს“ ნიშნავს), ლუტიძე -„კაცი უსახლკარო და უქონელი (საბა), ღარიბაშვილი, ბლუ-ბლუაშვილი, გრძელი-გრძელიშვილი, ტროყაშვილი (ტროყა-„ტანად დიდი და მოუხეშავი“,„ახმახი“), კიკნაძე (კიკნა - „ძალიან მცირე“, პაწაწინა“), ხორავა (ხორა ანუ ხვარა მეგრულად ნიშნავს „მელოტს“), შავიძე, ჭრელაშვილი, კუპრაძე, ბებიაშვილი, კირკიტაძე, ლიკლიკაძე.

არაერთი გვაროვნული სახელი მიღებულია ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მცენარეთა და სხვადასხვა საგნის სახელწოდებისაგან.

ცხოველთა სახელებისგან წარმოქმნილი გვარებია: ირემაძე, მგელაძე, კვერნაძე, ლომიძე, ლომსაძე, ვეფხვაძე, ხარაძე, ტურაშვილი, ტურიაშვილი, შველიძე, ბუღაძე, ჯეირანაშვილი, ხარაიშვილი, მელაძე, მელაშვილი და სხვა.

ფრინველთა სახელებისგან მიღებულია შემდეგი გვაროვნული სახელები: გვრიტიშვილი, კაკაბაძე, ქათამაძე, ჩიტაძე, ჩიტიაშვილი, ჩხიკვაძე, ბუაძე, მიმინოშვილი, შოშიაშვილი, მწყერაშვილი...

თევზთა სახელებისგან მიღებულია: თევზაძე, კალმახელიძე...

მწერთა სახელებისგან მიღებულია: მუმლაძე, ბუზიაშვილი, ბუზალაძე, პეპელაშვილი...

მცენარეთა სახელებისგან წარმოქმნილია ხაშურის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვაროვნული სახელების ერთი ნაწილი. კერძოდ: ჭინჭარაძე, ნიორაძე, ტყემალაძე, ნერგაძე, ნეკერიშვილი, ნეკერაშვილი, ჩალაძე, ბალახაშვილი, ბალახაძე, ჭარხალაშვილი, კვახაძე, ჭინჭარაულიი, ჯინჭარაძე, იაშვილი, იაძე...

ზოგიერთი გვაროვნული სახელი მიღებულია სასმელ-საჭმელის შემცველი სახელწოდებისაგან: მაჭარაძე, მაჭარაშვილი, ყველიაშვილი, ყველაშვილი, ხაჭაპურიძე, ხმიადაშვილი, სებისკვერაძე...

გვხვდება აგრეთვე ქალთა საკუთარი სახელებისგან მიღებული გვარებიც: თინიკაშვილი, ნინოშვილი, მარიამიძე...

გვაროვნულ სახელთა ერთი წყება მიღებულია სამეურნეო (კურტანიძე, ლურსმანაშვილი, მახათაძე, ნამგალაძე...) და საომარი (ხმალაძე, ზარბაზანაშვილი...) იარაღის სახელებისგან. გვხვდება აგრეთვე ტანსაცმლისა (პაიჭაძე) და ჭურჭლის (გუდაძე) სახელებისაგან მიღებული გვარები. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებისგან მიღებულია გვარები: ჭიპაშვილი, თვალიაშვილი, თავაძე, კუჭაძე, კუჭაიძე, კბილაძე და სხვა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში გვხვდება რთული, ორი ან სამი ძირისგან შედგენილი გვაროვნული სახელები: გოგიბერაშვილი (გოგი+ბერა), გოგბერიძე, (გოგ+ბერი), გოგიბერიძე (გოგ+ბერა), გოგისვანიძე (გოგი+სვანი), გოგობერიძე (გოგო+ბერი), დიდიმამიშვილი (დიდი+მამა), ელჩიბეგაშვილი (ელჩი+ბეგი), თავართქილაძე თავშავიძე, (თავი+შავი), თავხელიძე (თავი+ხელი), კილაბერიძე (კილა+ბერი), მზექალაშვილი (მზე+ქალი), მიქაბერიძე (მიქა+ბერი), ოქროპირიძე (ოქრო+პირი), პატარკაციშვილი (პატარა+კაცი), პატარქალიშვილი (პატარა+ქალი), სულაბერიძე (სული+ბერი), სულაქველიძე (სული+ქველი), ფაფაკერაშვილი (ფაფა+კერა),, ფეხშველაშვილი (ფეხი+შიშველი), შავგულიძე (შავი+გული), ძირტკბილაშვილი (ძირი+ტკბილი)...

როგორც ვხედავთ, ხაშურის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვაროვნული სახელების წარმოქმნისა და წარმოების გზები საკმაოდ მრავალფეროვანია. ყველა გვაროვნული სახელი, რომელიც დღეს რაიონის ტერიტორიაზე გვხვდება, თითქმის საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული.

***

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ გვაროვნულ სახელზე, რომელიც ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს და მისი გავრცელება რაიონიდან უნდა მომხდარიყო სხვა ადგილებში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი გვარები: გვერდწითელი, ულუმბელაშვილი, სავანელი...

გვარ-სახელი გვერდწითელი სოფელ ხცისიდან მომდინარეობს და აქედან არის გავრცელებული სხვა ადგილებში. გვერდწითლების წარმომადგენლები თავიანთ გვარზე შემდეგ გადმოცემას ჰყვებიან” „მათ ერთ წინაპარს თავი გამოუჩენია რომელიღაც ბრძოლაში, თვითონაც მძიმედ დაუჭრიათ, ცალი მხარე მთლიანად სისხლით ჰქონია მოსვრილი, მაგრამ გამარჯვებულს სოფლამდე მაინც მიუტანია თავი, გვერდწითლების გვარიც აქედან დაიბადაო“ - წერს პროფესორი ს. ცაიშვილი თავის ფილოლოგიურ ეტიუდებში და იქვე დასძენს: „ეს ლეგენდა, მეორედაც მოვისმინე, როცა ვათვალიერებდი წრომის დიდებულ მონასტერს და იქვე ახლო მდებარე ხცისშიც მომიხდა ყოფნა. ლეგენდა აქ კიდევ უფრო „დაზუსტდა“, გვერდწითელების სახელოვან წინაპარს თურმე გმირობა ტაშისკრის ცნობილ ბრძოლაში გამოუჩენია, როცა ქართველებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, მუსრი გაავლეს თათარხანის ლაშქარსო... მაგრამ აქვე ყურს მოხვდა არც თუ უმნიშვნელო დეტალი, ხცისი მტრისგან აოხრებულა მრავალგზის და მასში მეტწილად ახლადჩამოსახლებულნი ცხოვრობენო, მათ შორის გვერდწითლებიცო.

ისიც გაირკვა, რომ ახალმოსახლეთა მიერ ხცისის შევსება მეტწილად სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან ხდებოდა... და აი, იქვე ხცისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, სამხრეთ მთიანეთში არის სოფელი გვერძინეთი (ვახუშტით „გვეძინი“, გვერძინი, -გვეძინი კი ძველ ქართულად გარეულ მტრედს ნიშნავს: შდრ: სულხან-საბას ლექსიკონი, რომლის მოსახლეობა „უკვე ადრიდანვე დაძრულა ბარისკენ, მათ შორის სოფელ ხცისისკენ.

პროფესორი ს. ცაიშვილი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გვერდწითლების გვარის შესახებ შემდეგს დაასკვნის: „როგორც ხდებოდა ხოლმე, სოფლის სახელიც თან მიჰყვებოდა გადასახლებულთ (ამის მაგალითები იმდენია, რომ ამით თავს არ შევაწყენ მკითხველს). შესაბამისად, გვერძინეთიდან ჩამოსახლებულ კაცზე ქართული დიალექტიკის კვალობაზე შესაძლოა, მიედო ახალი გვარ-სახელი გვერძინეთელი - გვერძინთელი (მრავლობითი ფორმით: გვერძინთლები), გვერძინთელის გვერდწითლამდე გადააზრებისათვის კი ერთი ნაბიჯიღა რჩება, რაც ხალხური ეტიმოლოგიის წესისამებრ შემტკიცდა კიდეც ზემოთმოტანილი ლამაზი გადმოცემით“.

თ. ლაცაბიძე

((დასასრული შემდეგ ნომერში)

რატომ? რისთვის?

1951 წელს დეკემბრის დილა ქვიშხეთში. ქარ-თოვაა. თოვლს სახეში გვაყრის, გაუსაძლისი სიცივეა. ხმა გავარდა, ნუცა კიკნაძის ოჯახს ასახლებენ ციმბირშიო... შეწუხებული მეზობლები და ცნობისმოყვარე ბავშვები.. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მეზობლის ეზოსთან მოვგროვდით.

სატვირთო მანქანა „ურალზისი“ იდგა სახლთან. კარაბინებით შეიარაღებული ხუთი ჯარისკაცი, საბჭოს თავმჯდომარე და ერთი ოფიცერი ხელმძღანელობდნენ გადასახლების ოპერაციას. ოჯახის უფროსი, ტყვედნამყოფი მამაკაცი, მეუღლე და ბავშვები, მათ შორის ერთი აკვნის ბავშვი, ეზოში იდგნენ. მეზობლებმა ღორი გამოიყვანეს სადორიდან, დაკლეს, სახელდახელოდ დაამუშავეს და მანქანაზე შეაგდეს. თვალცრემლიანი დიასახლისი ღორის დაკვლის დროს აყვირდა: „ჩემს ქმარს გამოჭერით ყელი, ჩემს ქმარს, მაგ ღორს რას ერჩით, ან ჩვენთან რა გინდათო?“

როგორც იქნა მორჩნენ საჭირო ნივთების მანქანის ძარაზე დალაგებას და

ოჯახის წევრებსაც უბიძგეს მანქანისკენ. ერთი 14 წლის გოგონა, ერთიც ჩემი ტოლი, 12 წლის ბიჭი ბონდო და ერთიც აკვნის ბავშვი... თვალცრემლიანი მეზობლები უხმოდ უცქეროდნენ ატირებულ ბავშვებს და სასოწარკვეთილ დედას, რომელმაც პატარა მთვარისა აკვნიდან ამოიყვანა, ზეწარში გაახვია, ჩვენსკენ გამოიხედა და სასოწარკვეთილმა წარმოსთქვა: „რისთვის ხალხო, რისთვის?“ მანქანა დაიძრა, მხოლოდ ბონდომ იყვირა „მშვიდობით, ხალხო! არ დაგვივიწყოთ“... და წავიდნენ.

ერთი წლის და სამი თვის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა. ხელისუფლებაში ძალაუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო და საკმაოდ გროტესკულმა ფიგურამ ნიკიტა ხრუშჩოვმა გაიმარჯვა. დაიწყო უკანონოდ გადასახლებულთა საქმეების გადახედვა. დაიხურა სიკვდილის ბანაკები „გულაგები“ და გადასახლებულებიც დაბრუნეს. მათ შორის ნუცა კიკნაძის ოჯახიც. უმცროსი გოგონა ლეიკემიით დაავადებული დაბრუნდა და გარდაიცვალა.

ახლა ბონდოს მოვუსმინოთ: „აქედან ხაშურში ჩაგვიყვანეს. საბარგო მატარებელში შეგვყარეს. გათბობა არ იყო, ყველგან ტირილი და წუხილი იყო. ერთი ოჯახი ბორჯომიდან იყო, ჩვენი მოგვარე და ერთმანეთს ვეხუტებოდით. რომ არ გავყინულიყავით. გზაში ორი მოხუცებული გარდაიცვალა ჩვენს ვაგონში, ერთ სადგურზე ჩაიყვანეს და სად დამარხეს, ვინ იცის. ერთ დამეს ჩემთან რომ ბიჭი იწვა, ვიგრძენი როგორ გაცივდა. დილაზე ვნახეთ მკვდარი. მამამისმა არ გაამხილა, ჩქარა ჩავედით უზბეკეთის რომელიღაც სოფელში და იქ დავმარხეთ. 4 წლის განმავლობაში 20-მდე ქართველი გარდაიცვალა.

ზაფხულობით ბამბის კრეფაზე ვმუშაობდით. მამაჩემი არ მუშაობდა, კლარნეტის დაკვრას ასწავლიდა (ტყვეთა ბანაკშიც სასულე ორკესტრში უკრავდა), სანადირო თოფი იყიდა და სანადიროდ დადიოდა, საყვარელიც გაიჩინა. დედაჩემს სიკვდილივით ეჯავრებოდა, უსაქმურს ეძახდა, მაგის ბრალია ჩვენი უბედურებაო.

დედაჩემი ბამბის საუკეთესო მკრეფავი გახდა, ჩემი დაც ეხმარებოდა. ტომარას წელზე შეიბამდნენ, ზედ გადაალაჯებდნენ და ფეხებს შუა მიათრევდნენ. თითის წვერებით ფთილებს გლეჯდნენ, თითებს სწრაფად ამოძრავებდნენ, ბამბის შტოებში კოლოფებს ნახულობდნენ და ბამბას ტომარაში ყრიდნენ. ყველგან ბამბა იყო მოდებული. ქარი რომ დაუბერავდა, ჰაერში ბამბის ფთილების კორიანტელი იდგა. დედაჩემი უზბეკებზე უკეთესად კრეფდა და ქართველი მკრეფავებიც მას ჩააბარეს...

სტალინი რომ გარდაიცვალა, უზბეკებთან ერთად ჩვენც ვტიროდით, რა გვეშველება, ვინ დაგვაბრუნებს უკანო. მარტო მამაჩემი იყო გახარებული. კიდევ ბორჯომელი ჩვენი მოგვარე. ერთ საღამოს ჩვენთან შემოვიდა და გვითხრა, ახლა ბევრი რამ შეიცვლებაო. ის კაცი მასწავლებელი იყო და მისი ყველას გვჯეროდა, იმედი გაგვიჩნდა...

მაშინ ბავშვი ვიყავი და არ მიფიქრია „მოღალატე“ მამასთან ერთად რატომ დასაჯეს შვილები, მშობლები, ოჯახს რას ერჩოდნენ? მშობლის დანაშაულისთვის (ტყვედ ჩავარდნა თუ დანაშაულია), მოხუცებული მშობლები და უცოდველი ბავშვები („მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი“ მათეს სახარებიდან) ცხენების გადასაყვან საბარგო ვაგონებში შერეკო და შუა აზიის გზას გაუყენო? თანაც ეს აქცია მარტო საქართველოში ჩატარდა. მხოლოდ ქართველები? რა ცოდვა გვქონდა ასეთი? გააკეთო ის, რაც არ გაუკეთებია არაბებს, მონღოლებს. გაიმეორო ავადსახსენებელი შაჰ-აბასის მიერ ჩადენილი ძალადობა. თუმცა, ის ხომ ირანის ინტერესებიდან გამოდიოდა. „დიადი ბელადი“ ხომ ქართველი იყო. რა დავაშავეთ ასეთი? შეიძლება შექმნა „მტრის ხატი“, წამოიწყო ტოტალური რეპრესიები, რის გარეშეც, როგორც ჩანს, საბჭოეთს არ შეეძლო არსებობა. მაგრამ ის, რაც მოხდა 1951 წელში, დღესაც ვერ ამიხსნია. რატომ? რისთვის?

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, პიროტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით, რეგულაციები გამკაცრდა

ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ე.წ. პიროტექნი-

კის გამოყენებით გამოწვეულ ხმაურზეც გავრცელდება. პრობლემა მართლაც რომ აქტუალურია, მრავლადაა შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს პიროტექნიკის არასწორ და ღამის საათებში გამოყენებასთან, რომელიც გარდა იმისა, რომ ხშირად აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას, არღვევს სხვათა უფლებებსაც. შესაბამისად, კოდექსში შეტანილი ცვლილებები დროული იყო.

მუხლი 77^2. ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება.

1. ღამის საათებში პიროტექნიკის გამოყენება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში იმავე ქმედების მეორედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 1000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისათვის პიროტექნიკურ ნაკეთობაში იგულისხმება პიროტექნიკური შემადგენლობის ნაკეთობა, რომლის თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და რომელიც განკუთვნილია სპეციალური სამუშაოების მიმდინარეობის, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო (საზეიმო) ღონისძიებების ჩატარების დროს სინათლის, ხმის, კვამლის და კომბინირებული(მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის ღამის საათებში იგულისხმება დრო 23:00 საათიდან 08:00 საათამდე.

3. ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებზე (31 დეკემბრის 21:00 საათიდან 2 იანვრის 23:00 საათამდე და 13 იანვარის 21:00 საათიდან 14 იანვრის 23:00 საათამდე) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღესა (9 აპრილი) და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე (26 მაისი). (ამოქმედდეს 2017 წლის 15 აგვისტოდან).

ეს რემი სამშობლოა, ეს რემი მუნიციპალიტეტია ჭვიშხეთის მთაწმინდა

ბელა ჩადუნელის ფოტო

ხაშურში ქალთა რაგბი წინ მიიწევს

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში რაგბის ნამდვილი ბუმია. უკვე ასეულობით ბავშვია ჩაბმული სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში და მათი ნაკადი უფრო იზრდება. შედეგებიც სახეზეა და ხაშური, ქვეყნის მასშტაბით, რაგბის ერთ-ერთი ცენტრი ხდება. ახლა კი ერთი ფაქტი,

რომელიც ამ არგუმენტს უფრო ამტკიცებს: ჩვენს მუნიციპალიტეტში ქალთა რაგბი ისეთი ტემპით მიიწევს წინ, რომ არაფერი იქნება გასაკვირი თუ ხვალ და ზეგ ეს პატარა გოგონები ქვეყნის ჩემპიონებად მოგვევლინებიან.

პრაქტიკულად, ამ გოგონებმა ვარჯიში 2-3 თვის წინ დაიწყეს. თავდაპირელად რაგბის გამოცდილ მწვრთნელთან დავით სტეფანოვთან რამდენიმე გოგონა მივიდა და სურვილი გამოთქვეს, რაგბით დაკავებულიყვნენ. ერთ კვირაში მათი რიცხვი 15-მდე ავიდა. პირველი ვარჯიშები... პირველი გაკვეთილები... და რაღაც ორიოდ კვირაში პირველი ტურნირიც. მაშინ „ოზურგეთმა" 30:20 მოგვიგო, „სენაკმა" კი 15:10. კვლავ ვარჯიშები... მორაგბე გოგონები საოცარი მონდომებით აგრძელებენ დაწყებულ საქმეს და ახლახანს, მორიგ ტურნირზე (ფესტივალზე), ისევ ძველ „მტრებს" გადაეყარნენ. აქ უკვე მათ საფუძვლიანი რევანში გამოაცხადეს და სენაკელებს 35:20 მოუგეს, ოზურგეთლებს კი 45:35. ეს იყო შვიდქალა რაგბის ფესტივალი, სადაც ყველამ აღნიშნა ჩვენი გოგონების საოცარი პროგრესი. ის კი არა, ჩვენი ორი გოგონა თექვსმეტწლიანთა ნაკრებისათვისაც კი შეიგულეს და ალბათ უახლოეს მომავალში შეკრებაზეც უხმობენ.

დიახ, შედეგები უკვე სახეზეა. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ბავშვებმა ვარჯიშები აპრილის თვის ბოლოს დაიწყეს და ბუნებრივია, მათი ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. იმედია, მომავალი წლის ბიუჯეტში გოგონათ რაგბი დაფინანსებას მიიღებს და ხაშურის ქალთა რაგბი სპორტის ერთ-ერთ წარმატებულ სახედ იქცევა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გ. გოგალაძე

ვულოცავთ 80 წლის იუბილეს იზოლდა გვაზავა - ნოზაძისას

ჩვენო საყვარელო, ჩვენო იმედიანო, დიდო მოამაგეო და კეთილშობილო ქალბატონო, გილოცავთ დაბადების დღეს!

ამბობენ, წარმოებაში საფინანსო საქმეთა ბუღალტერია მათი მუშაობისა და გაანალიზების სარკეაო.

წლების მანძილზე, ყოველთვის წარმატებულად, მაღალი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობდით მაშინდელ საკავშირო მნიშვნელობის ქარხანაში ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს.

ასაკის გამო დაემშვიდობეთ წარმოებას.

ჩვენ კი თქვენი სითბო, სიყვარული და მონატრება დღემდე მოგვდევს.

დიდხანს სიცოცხლეს, სიმხნევეს და ჯანმრთელობას გისურვებთ თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად, ქალბატონო იზოლდა.

D მექანიკურელები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.